საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5988/01
15/06/2021

5988-01-2-202106151713

შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდს“
მის: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი, N4

ასლი: სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ ,,50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის (,,ნიგოზა”) და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან და დანართებთან დაკავშირებით, გიგზავნით სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 8 ივნისის №10/1959 წერილით წარმოდგენილ შენიშვნებს:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით (პ. 6.1.6; პ. 7.2.6; ცხრილი 8.1; არატექნიკური რეზიუმე ცხრილი 4.1; არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ანგარიში) განხორციელებულია როგორც საპროექტო ტერიტორიის, ასევე ქარის ტურბინებისა და სხვა ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილების ვიზუალური შესწავლა. მოცემულია საპროექტო ტერიტორიის განთავსების არეალში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, შეფასებულია მათზე დაგეგმილი საქმიანობის ზემოქმედების რისკები და მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. კვლევის შედეგად გამოკვეთილია არქეოლოგიურად აქტიური ორი მონაკვეთი (მე-4 და მე-9 ანძების განთავსების ადგილი), სადაც ჩასატარებელია დამატებითი კვლევები სადაზვერვო არქეოლოგიური თხრილების (შურფების) საშუალებით. ასევე, სამუშაოების დაწყებამდე შესაბამისი კვლევით უნდა დაზუსტდეს წმ. გიორგის სალოცავის (მე-3 ანძის მიმდებარედ) და სალოცავი ნიშის (მე-9 ანძის მიმდებარედ) დაცულობის საკითხი დაგეგმილი მიწის სამუშაოების მოცულობებიდან გამომდინარე. დანარჩენ ტერიტორიაზე პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგად რაიმე სახის ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მიწის სამუშაოების დროს უცნობი არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში გათვალისწინებულია სამუშაოების შეჩერება და შემდგომი ქმედებების წარმართვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშს

ასევე თან ერთვის განხორციელებული კვლევის შედეგების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი (პ. 12.6; დანართი 6).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასაშვებად მიგვაჩნია პროექტით დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება, გარდა მე-4 და მე-9 ანძების განთავსების ადგილისა. მე-4 და მე-9 ანძების განთავსების ტერიტორიებზე მიწის სამუშაოების წარმოების თანხმობის გაცემის საკითხი განხილული იქნება ჩატარებული დამატებითი არქეოლოგიური კვლევის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს უცნობი არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები და ამის შესახებ აცნობოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (მოცემულ ეტაპზე - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს).

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე